

რედაქცია

ვალდების პრინციპი, თ. აგ. კ. მუსხისხის სახელზე...

ხელის-მოწერა

საიდგმა... ვინაის... რედაქციის... ვინაის... ვინაის...

დროება-ნიმუხის-ფასი

წელიწადში 6 თვეს... 13 მან... 7 მან... 4 მან...

დროება

გამოდის ეომელ-დე ორშაბათს ბარდა

შანი განსაზღვრის

დაცვა... სახელ... რედაქცია... ვინაის... ვინაის...

დროება - ნიმუხის

ალბომი

ომავალ 1881 წლის განძავლობაში... დროება-ნიმუხის... რედაქცია თავის წლიურ (მთელი წლის) ხელის-მომწერლებს...

მსატყობობა და ტექსტი ალბომისა დაბეჭდილი იქნება იტალიაში...

ალბომი იქნება შედგენილი სურათები:

- 1. თამარ-დედოფალი, 2. პრეკლე მეფე, 3. შოთა რუსთაველი, 4. ალექსანდრე შავჭავჭავაძე...

ხელის-მოწერა

ბროსსუს

სახელბის პრემიისათვის, რომელიც ფუძნდება საქართველოს ისტორიადამ საუკეთესო თხზულებათათვის.

ტელეგრაფები

პეტერბურში, 21 დეკემბ. გუშინ მოვიდა პეტერბურში გამომჩენილი სკუდელი სწავლული მოგზაურის ნორდენ-შიდდი.

ჩვენი რკინის გზის წესები.

ტიფლისი, 22 დეკემბერს.

თითქმის დღე არ გაივლის ისე, რომ ჩვენი რკინის გზის ხან ერთისა და ხან მეორე სტანციიდან საჩივარი არ მოგვიღვდეს...

სჩივიან, რომ, თუ საქონლის მიმღებს ცოტა რამ არ უჯიბეთ, ისე ხელს არ გაანძრევს, ჩვენი საქონელი სტანციებზე ღებება და სხვებისას კი, ვინც ჩვენზე უფრო გვიან მოიტანა...

სჩივიან, რომ უბრალო ხალხი განსაკუთრებით დიდ გაჭირებაშია რკინის გზაზე მოსამსახურე პირებისგანაო: საქონლის გაგზავნ-გამოგზავნის დროსაც, ბილეთის აღებაზედაც და სხვა ყველა შემთხვევაში გაწვალბულნი არიან...

სჩივიან ყველა გაზეთებისა და ჟურნალების ხელის-მომწერნი: ნახევარი ნომრები სტანციებზე გვეკარგება, ნახევარიც დახეულ-დაგლეჯილი მოგვდილა.

სჩივიან, ერთის სიტყვით, ყველა, ვისაც კი ამ რკინის გზასთან რაიმე საქმე აქვს; და ვის არა აქვს ახლა ჩვენში საქმე შოთი-თფილისის რკინის გზასთან!

ჩივილი კი თითქმის საზოგადოა, მაგრამ სმენა, მხედველობაში მიღება ამ ჩივილისა, უკმაყოფილო ხალხის კანონიერ მოთხოვნალება შესრულება კი არსად არა სჩანს; თითქო ჩვენი რკინის გზის გამგეობას არ შეეხებოდეს ეს, ყურსაც არ იბერტყს.

ღიდი ხანი არ არის, რაც შოთი-თფილისის რკინის გზის გამგებელად ახალი პირი — ბ. ლაღანი — დაინიშნა. პარგ, პატიოსან კაცს ამბობენ ალღანს. მაშ იმედი უნდა გექანდეს, რომ ის მაინც მიაქცევს ამ საგანს ჯეროვან ყურადღებასა.

რამდენიმე მაგალითი მოხდა, რომ ამგვარი ბოროტად მომხმარი თავის თანამდებობისა, ეცემეს ჩივილით, რკინის გზის გამგეობას დაუთხოვნიან სამსახურიდგან. მაგრამ ყოველთვის მოცდა, რომ იჩივლებენო, — არ შეიძლება: ხამი, სოფლის ხალხი ხშირად ჩივილს ვერ ახერხებს და ვერ ჰხედავს; იმან ხშირად ისიც არ იცის, კანონიერად გარდაახდევინეს იმას ბილეთში, ესტყვათ, მანეთის მაგივრად, ექვსი აბაზი, თუ არა. სად, როგორ, ვისზე იჩივლოს რა იცია, ჩვენმა გლეხმა? ძიდეც რომ უნდოდეს, ეშინიან წითელ ქობიან კაცისა, ეშინიან, რომ მეორედ უარესს უზამს! დროს დაკარგვაც, საქმის დევნაც ეზარება და ამ ნაირად ასში ერთიც არ სჩივის.

ამის გამო თვითონ რკინის გზის გამგეობაა მოვალე, რომ სასტიკი კონტროლი, ზედამხედველობა ჰქონდეს თავის წერიმალ აგენტებზე, მოხელე პირებზე და როგორც რაიმე უწყსოებას შეამჩნევს, იმ წამსვე, სხვების სამავალითოდ, დაითხოვოს სამსახურიდამ.

მეორე გარემოება, რომელიც უზრუნველდება შიდა აგრეთვე მისაღები, და რომელზედაც ხშირად ზოგიერთი უწყსოება წარმოსდგება, ვახლავთ ის, რომ შოთი-თფილისის რკინის გზის სტანციებზე, იმ სტანციებზე, რომელიც შუაგულ საქართველოში არიან, თითქმის ვერც ერთ განცხადებას ვერ ნახავთ ქართულს ენაზედ, ყველა განცხადებანი რუსულად არიან დაბეჭდილნი. ბილეთებისა და საქონლის გადატან-გადმოტანის ფასი რომ ჰყოფილიყო მაინც ქართულად, რუსულის უცოდინარი და ქართულ წერა-კითხვის მცოდნე ხალხი (და ამისთანები ჩვენში, მოგვხსენებთ, ბლომად არიან) შეიტყობდა ამას და ისე ადვილად იმათ ვეღარ მოატყულებდნენ ყველა ეს „ვესოვსჩიკები“ კონდუქტორები და სხვ.

იმედი გვაქვს, რომ ახალი მმართველი ჩვენი რკინის გზის გამგეობისა ამ ორ გარემოებას მიაქცევს ყურადღებას და ამ მხრით მაინც ეცდება ამ გზის ნაკლებულევანებათა გასწორებასა და მოსპობას.

ახალი ამბები

მეთაისიდან გვატყობინებენ, რომ იქაურ საეაქო გიმნაზიის დირექტორს ბ. სტოიანოვს შეუდგენია ქართულის ენის პროგრამის ახალი პროექტი. ამ პროექტით, როგორც ამბობენ,

ქართულის ენის მასწავლებელს უნდა მიენიჭოს გიმნაზიაში შტატის მასწავლებლის ყველა უპირატესობა, აგრეთვე ჯამაგირი, რამდენიც სხვა ენების მასწავლებლებსა აქვს და ამასგარდა ქართული ენა გიმნაზიის ყველა კლასებში უნდა ასწავლონ.

თუ ეს ამბავი მართალია, და თუ ამასთანავე ეს პროგრამის პროექტი დაამტკიცა და სისრულეში მოიყვანა ახლანდელმა ძაქვისის სამასწავლებლო მ.ზრის გამგეობამ, ქვეშაირტად შეგვიძლია მაშინ ვთქვათ, რომ ამ გამგეობის მოღვაწეობა უნაყოფოდ არ ჩივილის ჩვენი ქვეყნის სწავლავანათლებლისათვის...

ბაზეთს „გოლასში“ სწერენ ბათუმიდამ.

„შვი ზღვის აღელვების დროს, 1 სა და 7-ს დეკემბერს შუა ბათუმის ნავთ-სადგური გასაოცარ სანახავს წარმოადგენდა. აქ მოიყარა თავი 46 გემმა, რომლებიც იყენენ 300,000 ფუთით დატვირთული. ეს საქონელი, რომელიც ძაქვისისათვის იყო დანიშნული, შოთით უნდა წასულიყო. მხლა კი, ღმერთმა იცის, რადღე დაადგება ამ საქონელს. ამის შემდეგ თან-და-თან უფრო ძრიელდება სურვილი, რაც შეიძლება მალე ვაკეთდეს ბათუმიდამ რკინის გზა თბილისთან შესაერთებლათ. შოთის ნავთ-სადგური, რომელმაც, ვინ იცის, რამდენი მილიონი საქონელი მოინელა და კიდევ მოინელებს, საქირო აღარ იქნებოდა მაშინ.“

ბუშინ, ი.რშაბათს, თფილისის სახელოსნო „შკოლაში“ მოხდა ერთი სამწუხარო შემთხვევა: გადმოვარდა მეორე ეტაჟის კიბიდან ერთი 8 წლის ბავშვი, რომელმაც გაიჭრა ლოყა და რომელსაც საზოგადოდ მთელი სხეული იმდენათ გალახა, რომ ის მაშინვე გადაიყვანეს ჯერ „ლეჩებნიცაში“ და შემდეგ ძალაქის სამკურნალოში. ექიმებს იმედი აქვს იმის მორჩენისა.

მიზეზი ამ სამწუხარო შემთხვევისა არის დაბალი მოაჯირები შკოლებსა, რომლებითაც შევირდები ჩამოსრილდებიან ძირს ეტაჟებში შემდეგ გაცვეთილის გათავებისა. საკვირველია, რომ ძალაქის ჩჩევამ არ დაინიშნა ამ შკოლისათვის ერთი ზედამხედველი (ნაღზირატელი). იმედია, რომ, რაკი ურე-

მი გადაბრუნდა ეხლა მანც გამოჩნდება ვხა...

* *

ჩვენ მივიღეთ მზურგეთიდან, დასაბეჭდათ, შემდეგი წიროლი:

„ბ. რედაქტორო! წასრულის კვირის „დროების“ ნომერში სხვათაშორის იყო მოხსენებული შესახებ მზურგეთის სასულიერო სასწავლებლის ცუდი მდგომარეობისა. ამის გამო მსურს რაოდენიმე სიტყვა ამის თაობაზე მოვახსენოთ.

„მზურგეთის სასულიერო სასწავლებლის შენახვას სჭირდება ცხრაათასი მანეთი. ამ სასწავლებლის შენახვა აწევს კისერზედ ბურის სამღვდლოებს. თუმცა სასწავლებლის სხვა ეპარხიაშიაც ინახავს ადგილობრივი სამღვდლოება, მაგრამ სხვებს საეკლესიო ხაზინისაგან ეძლევათ შემწეობა.

ჩვენს სასწავლებელს თითქმის ერთი წელიწადია, შედამხდელი არა ჰყავს. თუმცა სამღვდლოებამ აღმოაჩინა ძიების აკადემიის კურს - შესრულებული ბატ. მ. ილურიძე, მაგრამ ბურის ყოვლად - სამღვდლომ, ეგზარხის წინადადებით, ვერ დაგვიტოვა. შემდეგ ამისა მრთელი სამღვდლოება მიიქცა თხოვნით უწმინდის სინოდის ობერ-პროკურორთან და ეხლა, როგორც გავიგეთ, ჩვენი აღმორჩეული ილურიძე დაგვიტოვა და სრული იმედია, ამიერიდან ჩვენი სასწავლებელი გაუმჯობესდება.

რაიცა შეეხება სასწავლებლის სახლს, ნამდვილია, რომ შესაფერი არ არის, მაგრამ უმჯობესი მზურგეთში დღეს არ მოიპოვება და სამი წლის განმავლობაში, თუ ბურის სამღვდლოების მდგომარეობა გაუმჯობესდება ჯამაგირით, ანუ სხვა საშუალებით, ახალ კარგ შესაფერის სახლის აღშენებას ემზადება.

ბურის ყოვლად-სამღვდლოების კაპომა ამ უკანასკნელს დროს ძლიერ სიმხნე გამოიჩინა როგორც სასწავლებლის, ეგრეთვე ეპარხიის საქმეთა მმართველის შესახებ.

„უბრალო ხმები ჩვენში, ვითომც ბურის ეპარხიას იმერეთზედ აერთებნო. საიდგან დაიბადა ეს აზრი, არ ვიცი, მაგრამ ეს კი ვიცი, რომ ეს შეერთება ჩვენთვის სანატრელი არ უნდა იყოს.“

„დროების“ კორექსიონი

რაჭა, 15 დეკემბერს. შე დალოცვილო მკითხველო, ყველა ქალაქების ამბავს რომ კითხულობ, რა გიჭირს ერთი რაჭის ამბავსაც გარდავლო თვალი! რამდენი ხანია რაჭაზედ არაფერი წაგიკითხავს!...

რაჭისთანა მუშა და პატოსანი ხალხი ერთს მაზრას არ ასხია მოლათ ჩვენს საქართველოში; მაგრამ ამასთანავე ამდენი ტყუილი მჭამელი ხალ-

ხიცი ტყუილია! ამით კადე არაფერი გვიჭირდა ჩვენ, რაჭველებს, მაგრამ რაღაც უბედურათ ნამეტანი თავმდაბალი ხალხი განლაგართ; თავში რომ ვინმე გვირტყამდეს, ჩვენ ხმას არა ვსცემთ...

მაგრამ დავანებოთ თავი ამ ლაპარაკს, რაც ვართ, მადლობა ღმერთს, ის ვიყოთ; უფრო ცხოველ საგნებზე ვილაპარაკოთ:

თქვენი მტერი გაცივდეს, წელს ჩვენ ამ აღრიანმა ცივმა ზამთარმა გავაცვივა. იმ წინაზედ ისე კი მოუჭირა ყინვამა, რომ სწორეთ გლახათ შეგვაწრუწუნა! ჩვენი დაბა-ქალაქის მნის მხარული, მუდამ ლოთი ქუჩები სრულიად დაგვიღონდნენ, კაცს ვეღარ დაინახავდით გამვლელ-გამომვლელსა; — მოხუცი კაცის წვერსავით გათვრებული, თოვლისაგან დაბანძული მთები მოწყენით, რაღაც დაღონებულის სახით დასცქერდნენ ჩვენს პატარა მნს. ჩქარი რიონი ყინვამ ძლიერ მოძუძვა; ხუვილი რომ გაგეგოთ, გეგონებოდათ რიონსაც სცივალ... რადგანაც ჩვენში პირუტყვის ჭირი იყო და მცხოვრებლებს არა ჰქონდათ ხარების სოფლიდან სოფელში გარდაყვანის ნება, უშიშობამ ძლიერ შეგვაწუნა.

მხლა კი მადლობა ღმერთს, კეთილის თვალთ გადმოგხედა ცის მნათობმა და თეთრი თოვლის ცივი გუნდები თითქმის სამიმეოთხედი ნაწილი გააქრო. ჩვენი დაღონებული ქუჩები ხელმოკრედ გამხარულდნენ და მათზედ ისევ გულ-მოდგინეთ აღუღდა მოქმედება ჩვენი საწყალი გლეხი-კაცებისა და ღამ-ღამით ლოთებისა.

რაც შეეხება ხორაგეულობის სიძვირეს და სიფხვს, ღვთის მოწყალებით, ამაში ჩვენი მაზრა ყოველთვის ნაქებია, სხვა მაზრებივით დამწეულგები არ განლაგართ...

მოიხსენეთ ახლა აქაური სასწავლებლის ამბავი: ავთ თქვენი მტერი იყო, ავთ მისი საქმე მიდიოდეს. მრთი კვირის განმავლობაში სამი ოთხი დღე უქმად იკარგება ჩვენი მოსწავლეებისათვის. ძანიკულებზედ, როდესაც ყმაწვილები დათხოვილნი იყვნენ, მასწავლებლებს სკოლის შენობისათვის ყურადღება არ მიექციათ და დღეს, როდესაც ყმაწვილები დროს არ უნდა ჰკარგავდნენ, უნდა გულ-მოდგინეთ ეკიდებოდნენ თავის საქმეს, მასწავლებლები სკოლის ოთახებს ხან აქცევინებენ და ხან აშენებინებენ.

საზოგადოდ ჩვენს მაზრაში ჯერეთ განათლების სულსაც არ გადმოუწევია, ჩვენი მაზრა ახლაც თითქმის ისევ ისე ველურია, როგორც წინეთ ყოფილა. ხანჯლების ტრიალი და სისხლის ღვრა, როგორც „დროების“ ერთს ნომერში იყო მოხსენებული, მეტად ხშირი შეიქნა; ცარცვა და ქურდობა, მეტადრე ცხენის, ძალაღობით უძღურის დაჩაგვრა, ქრთამი,

ქრთამი — ეს პირველი მტერი სიმათლისა, დამარღვეველი წყობილებისა. და ყოვლადერთი საზოგადო მანებლობა განხორციელდა ჩვენში... ბუშინ ეხედავდით, კაცმა კაცი მოჰკლა, მოჰკლა, დაუკარგა ქვეყნიური ცხოვრება; ეს უბრალო საქმე არ არის, სასჯავრო საქმე; პოლიცია გულ-მოდგინეთ უნდა მისდევდეს, დიდის გამჭირაობით უნდა ადევნებდეს ის თვალს ამ სასჯავრო საქმეს. ჩვენდა საუბედუროთ, ის არაფერს ზომიერებას არ იჭერს ამ გვარ საქმის მოსასაზობლად: უზრუნველად, გულ-გრილად შეჰყურებს ის ორი კაცის ერთმანეთში სისხლით მორიგებას, თითქო სეირს უყურებს შორიდგან, და, როდესაც ერთი მეორეს თავს გაუტყხს, მაშინ კი მივარდება ზავებას დაუწყებს...

ყველა უბედურობის მიზეზათ ჩვენში ჩნდება გაუწყნარებელი, დაუცხრომელი ლოთობა: მშვენიერის ღვინით, რომელიც თავის თვისებით ნაკლები აღარ არის პახურ ღვინოზედ, ხალხი დაითრობა და გროვა-გროვათ ამისთანა ცივი ზამთრის გრძელ ღამეებში დადიან, ყვირიან და ყოველ უწესობას სხადიან ჩვენი დაბის ვიწრო ქუჩებში. ამ დროს ყოველი კაცი უნდა უფთხილდეთ, რომ არ ჩავარდეთ ამ გაცოფებულ ხალხის ხელში, არ ენახოთ იმათ ამღვრულ თვლებს, თორემ თქვენ აუცილებლათ მოგელით ცემა-ტყეპა... სად არის ამ დროს ჩვენი პოლიცია? რატომ არ უკრძალავს ამ გალოთებული ხალხის გროვას ღამით ქუჩებში სიარულს, რომ მშვიდობის მოყვარე მოქალაქეს უშიშრათ შეეძლოს ქუჩებში გამოსვლა? ჩვენი პოლიციის მოხელეებს ამ დროს ან სძინათ და ან სხედან ერთათ შეკრებილნი და თვითონაც თავისებურათ ქეიფობენ. წასრულ კვირაში ჩვენმა მაზრის უფროსმა დაჰპატიჟა რამოდენიმე ჩვენი მაზრის მოხელეები. შუა-სმა რომ შექნოდათ, ჩვენი მსაჯული დამთვრალიყო და ერთის იქ მყოფი პოლიციის მოხელეს გალახვა მოენდომებინა. რაღაც ბედით, რამოდენსამე ფხიზელ პირებს არ მიეშვათ აღშფოთებულნი მსაჯული იმ მოხელესთან, თორემ საძაგლობა მოხდებოდა აქაც. შემდეგში მაზრის უფროსს ეხმარა იმდენი წინდახკლულობა, რომ ეს მთერალი ხალხი სახლიდგან გამოერეკა; ერთს ბატონს ბევრი პანღურებიც ურტყეს. ეს ამბავი მეორე დღესვე გავიგეთ და არ იკითხავთ რის თაობაზედ მოხთომილათ იმათ ასე სასტიკად ერთმანეთს შორის აშლა? ერთმანეთს წმოსძახეს თურმე თავიანთი კაი-კაცობა, თავიანთი ქვეყნისათვის სარგებლობა, თავიანთი აღებული ქრთამები...

მხლა ოვითონ თქვენ წარმოიდგინეთ, ბატონებო, როგორი შთაბეჭდილობა უნდა დაირჩინოს ამათზედ ჩვენმა გაუნათლებელმა ხალხმა? საიდგან უნდა მოისპოს ჩვენში ლოთობა

და ჩეხა-გლეჯა, როდესაც მოხელეები, რომლებს შემწეობით ველოდით ჩვენი მაზრის კეთილ-დღეობას, ჩვენში უსამართლოების მოსპობას, თვითონ აძლევენ მაგალითს...

ჰანი.

სიღნაღი 15 დეკემბერს. სამაგალითო მეცადინეობით, მხნეობით და ქრისტიანებრივის სასოებით განიძრახა ბატ. საბინინმა განახლება ჩვენის სამშობლოს განმანათლებელის, ჩვენს წინაპართ ისტორიულის ნაშთის და ჩვენის სასიქადულო სიწმინდის წინამოციქულთა — სწორის ბოდის სობოროსი და დასრულება აქ ნაშენის სამრეკლოსი.

ჩვენის დედა-ქალაქის მცხოვრებთ თაგანთ თვალთ ნახეს ამ განვლილს შემოდგომაზედ სიონის ქუჩაში გამოფენილი ის სხვა-და-სხვა ძვირფასი და მშვენიერი ნივთები ხსენებულის სობოროსი, რომელნიც ბატ. საბინინმა იღვაწა და მოიპოვა.

13-ს ამ დეკემბრისას, მართლ-მადიდებელთ ეკლესიის წესდებულებათა-ებრ, ყველა ეს მოხსენებული და ძვირფასი და მშვენიერი ნივთები იკურთხნენ და შემდეგ წირვისა პარაკლისითურთ და ლიტანიით, ძლივს ცხრამეტი წლის შენებ სა, სამრეკლოს გუმბათსაც დაეგა მშვენიერი ცხრაფუთიანი ჯვარი.

სხადათ საგრძობელია — თუ რა გვარის სიამოვნებით და სიხარულით აღსავსე იქმნებოდა თვათვეული ამ საერო დღესასწაულობის დამსწრე მამულის შეილი და რა გვარს შთაბეჭდილებასაც მოახდენდა ეს ამგვარი სობოროს წასრულთ დროთ დიდებთა და პატივთ ცოტათი მანც ამ რიგათ განახლებას. არა თუ ქართველთა განმანათლებელის საფლავს, სობოროს და სამრეკლოს, არამედ თვით სობოროს ზღუდესა და ეზოსაც-კი, სადაც ამ მოკლეს დროდმდე საძაგრად დაიარებოდნენ ყველა შინაური პირუტყენი და ეხლა კი მშვენიერის ხელოვნებით არის გამართული აღმოსავლეთის მხრივ პატარა ბაღია, ეტყობა განათლებულის და ენერგიით საესის მშრომელის ზრუნვა და ხელი...

ამ დღესასწაულობაზედ დაესწრნენ: ბ.ბ. მაზრის მმართველი თავის ქვეშევრდომებთ, მაზრისავე მსაჯული ადგილობრივის პროკურორით და თანამშრომლებით, მრავალნი სიღნაღის მცხოვრებთაგან და ახლო სოფლებთ წარმომადგენელნი. ეს დღესასწაულობა გათავდა ბატ. საბინინისა-მიერ სადა მასპინძლობით, რომელზედაც ხსენებულთ მოთანამდებე დამსწრეთ ინებეს და მიირთვეს გულითადის სიამოვნებით სადღევრძელოები: ბატ. საბინინისა, მმ. არხიმანდრიტი — მაკარისა და ლადიანისა და ყოვლად შემწიროველთა მრავალქამიერის გალობით ქართულის ხოროსაგან.



დიდი გულწრფელი და დაუფრთხი-
რი ქება ბატ. საბინინს, როგორც რომ
ჩვენ თანამედროეთაგან ამ გეგრი დეა-
წლი. თვის, ეგრეთვე შთაბრძნობა-
თაგანაც, რომლის დაუღალავის მხნე-
ობით და ენერგიით სავე მეცადინე-
ობითაც ამ ხ. ენებულს ჩვენს სასიკა-
დულო და სახალხო სიწმინდეს
შემდეგში უფრო ბევრი სხვა-და-სხვა
გვარი და უუღალბატულოესი წარმა-
ტება და განახლება მოელოს...

შესანიშნავი იყო, რომ ამ სადაგს
და სამსახურის დღეს ყველა ზემოხსენ-
ებულთ მოთანამდებე და სხვა უცხო
პირთ კი ისურვეს და დიდს სიამო-
ვნებით დაესწრნენ ამ დღესწასულო-
ბას და ადგილობრივთ უფნდის სამღე-
დელოთ კი არავითარმე მოწაწილე-
ობა არ მიიღეს ამ შემთხვევაში. მით
უფრო უმეტესად სამწუხაროა ეს გა-
რემოცბა, რომ იმათში ჯერეთ კადვე
ბევრნი მოიპოვებინ იმ გვარნი პირნი,
რომელნიც ამ სობოროს სასწავლე-
ბელში აღზრდილან ძველს დროში
და აქვე შეუშოსნით მღვდლობა.
ამბობდნენ: იმათ სადა სკალიანთა
ამისთვის, იმათი მხნეობა და გარჯი-
ლება მდგომარეობსო ესაა ადგი-
ლობრივს ბლალოხინებთან ხეფწა-
მუდარებაში ჯილდოვებულ წარდგენი-
სათვის.

დამსწრე.

რომელიც მოახდინა მსმენელებზედ
ამ ახალ-გაზდა მეცნიერმა.

მართალი მოგახსენოთ, სასიამო-
ნო სანახავია, როდესაც ახალ-გაზდა
ქართველი ეგრე რივად გავარჯიშე-
ბულია თავის სპეციალურს საგანში,
რომ სრულად თავისუფლად გამო-
დის, არა მარტო საზოგადოების, არა-
მედ მეცნიერთა კრების წინაშე მათ-
თან გამოსაჯიბრებლად, რომ ამ ნა-
ირად ღირსეულად დაიცვას თავის მე-
ცნიერულ თხზულებაში გატარებული
მოსაზრებანი. მაგრამ ამ პირველს
სიამოვნებას ფრთები ეს ხმის და განუ-
საზღვრელი ხდება მაშინ, როდესაც
შენს სიამოვნების საგანს ხედავ გა-
მარჯვებულს, როდესაც გესმის, რომ
მეცნიერთა ხმას: „თქვენი (პ. მელიქი-
შვილი) თხზულება ძრიელ მოსაწო-
ნია, რომელიც გვიმტკიცებს თქვენს
გონებითი ძალასო“ და სხვ...—ბანს
აძლევს მსმენელი საზოგადოებაც.

პი სწორეთ ამ გვარი სიამოვნების
გრძნობა აღძრა ჩვენში პ. მელიქი-
შვილმა თავის დისერტაციის დაცვის
დროს.

დანიშნულს 1-ს საათზე, უნივერ-
სიტეტის ცენტრი საქტო ზალა სრუ-
ლიად გაიხსო მსმენელებით. როდესაც
მდგის სამსწავლეებლო მასრის
მზრუნველი და პროფესორები შამო-
უძღვნენ ბატ. პ. მელიქი-შვილს ამ
ზალაში, ფიზიკო-მათემატიკურ ფა-
კულტეტის დეკანმა, ჩვეულებრივად,
წაიკითხა მოკლე ბიოგრაფიული
ცნობები ბატ. პ. მელიქი-შვილის ეი-
ნობაზედ; შემდეგ დაიწყო მეცნიერ-
ული სჯა თვითონ დისერტაციაზედ.
„**о производныхъ акриловой кисло-
ты.**“

მს დესერტაცია ორს პროფესორს
ჰქონდათ წინათვე მინდობილი განსა-
ხილველად და შემდეგ, დანარჩენ
პროფესორთა და სამეცნიერო ბასის
მოსამენად საზოგადოების წინაშე
თავიანთი ჰაზრის გამოსათქმელად ამ
დისერტაციის ღირსებასა და ნაკლუ-
ლევანებაზედ. შურადღების ღირსია
ის გარემოება, რომ ამ ორ პროფეს-
სორთაგან, პროფესორ მერიგოზ,
როჰელსაც მთელი მერობის ყურად-
ღება აქვს დამსახურებული, როგორც
გამოჩენილ ქიმიკოსს, ამ პროფესორმა
ძლიერ სასიამოვნო ჰაზრი წარმოასტქვა
ბ. პ. მელიქი-შვილის დისერტაცია-
ზედ და მოიწონა იგი.

თუმცა ძლიერ საინტერესოა ჩვენ-
თვის ამ მეცნიერის შეხედულების გა-
გება, შესახებ ბ. პ. მელიქი-შვილის
დისერტაციისა, მაგრამ საგაზეთო
სტატიაში ჩვენ იძულებული ვართ
მხოლოდ შემოთქმულ საზოგადო-
ფრაზით დავეყყოფილდეთ.

ბატ. პ. მელიქი-შვილის დისერ-
ტაციაში მხოლოდ ერთ უბრალო
ნაკლულევანებას მიაქცია პროფეს-
სორმა მერიგოზ პ. მელიქი-შვილის

ყურადღება: მაგრამ იმაზედ რიგია-
ნად უპასუხა უკანასკნელმა.

თითქმის იგივე შეკვიძლია ესთქვათ
მეორე პროფესორია შეხედულება-
ზედ ამ საგნის შესახებ, რაც პროფეს-
სორ მერიგოს შეხედულებაზედ
ესთქვით.

ბოლოს იმე ფაკულტეტის დეკან-
მა შეკრიბა პროფესორების ხმები და
გამოაცხადა; რომ პროფესორებმა ერთ-
ხმით იცნეს ბ. პ. მელიქი-შვილი
მაგისტრის ხარისხის ღირსად.

ამის გამგონე მსმენელი ხან-
გრძლივის ტანის-კვრით და „ურას“
ძახილით მიეგებნენ ახალს მაგისტრს
და მოულოცეს ამ ხარისხის ღირსე-
ული მიღება და ერთბაშად ხელხელ
აყვანილი გამოიყვანეს ზალიდან.

მართის სიტყვით, მდგის უნივერ-
სიტეტში ამ სამი წლის განმავლობა-
ში, თუმცა 10-15-მა დაიცვეს დის-
სერტაცია, პირველი ადგილი მაგ
შემთხვევაში ბ. პ. მელიქი-შვილს
უჭირავს, რომელმაც ეგრეთი სასია-
მოვნო შთაბეჭდილება მოახდინა მსმე-
ნელებზედ და მისთვისაც ღირსეული
პატივის ცემაც მიიღო პროფესორე-
ბისაგან და მსმენელთაგან. შეველა იმ
ჰაზრისა იყვენ, რომ ბ. პ. მელიქი-
შვილი ნიჭიერი, თავის სპეციალურ
საგნის—ქიმიის კირგი მკოდნე ახალ-
გაზდა ყმაწვილია, რომელსაც შეუძ-
ლია მომავალში ბევრი რამე შესძი-
ნოს მეცნიერებას და სხვ. და სხვ.

ამ ნაირად გათავდა დისერტა-
ციის დაცვა.

რადგანაც იმ დღესვე ბ. პ. მელიქი-
შვილს დრო არ ჰქონდა, ჩვენ, ქარ-
თველ სტუდენტებთან დროს გატარე-
ბისა, ამის გამო მეორე დღეს, ორ-
შაბათს მივიწვიეთ საღამოზედ, ერთ-
ხელ კიდე მისალოცავად და მასთან
დროს გასატარებლად.

ქართველი სტუდენტი.

უცხოეთი

წმინდი ამბები. პარიჟის ერთს
უბანში—ბელვილში ყოფილა ორი
მიტინგი რაშფორის თავმჯდომარეო-
ბით. მიტინგის გათავების შემდეგ
რაშფორი დიდს ამბით გააცილეს.

სპარსეთის ელჩს ძონსტანტინო-
პოლში ბრძანება მოუვიდა, მოითხო-
ვოს პარტასაგან, საფრანგეთის და
აესტრიის დანმარებით, ქურთების წი-
ნალმდეგ ენერგიული მოქმედება.

თუმცა ბერმანია თანახმა მიიღოს
საფრანგეთისაგან წარდგენილი პირო-
ბები, შესახებ მედიატორობითი რჩე-
ვისა მსმალეთსა და საბერძნეთს შუა
საქმეებზე, მაგრამ ვალდებულება კი
არა მიუღია—რა ჯერ თავის თავზე.
პარტის უკანასკნელმა ნოტამ, რომ
გორც საფრანგეთის, აგრეთვე ბერმან-
იის და აესტრიის თანამდგომარეობა
ლეთისადმი ისე გააზარდა, რომ უკანასკნელი
ჰკუას იქს, რომ თა-
ნახმა განდებოდეს მედიატორების შემ-
წვობით საქმის გათავებაზედ.

ნის და აესტრიის თანამდგომარეობა
ლეთისადმი ისე გააზარდა, რომ უკანასკნელი
ჰკუას იქს, რომ თა-
ნახმა განდებოდეს მედიატორების შემ-
წვობით საქმის გათავებაზედ.

ბერძნების მღელვარება თან-და-
თან მატულობს. მართებლობას, არამც
თუ ჰსურს, რომ ეს მღელვარება შე-
ჩეროს, არამედ თვით არის წინა-
მძლოელი ამ საქმეში. ამ უკა-
ნასკნელ დროს ათინაში დაარსდა
ერთი საზოგადოება, რომელიც ცდი-
ლობს, უეჭველად გაანთავისუფლოს
პირო და მესალია მსმალეთის ქვე-
შევრდომობისაგან. ამავე აზრის არიან
დეპუტატები, სასახლის წარჩინებული
პირნი და მინისტრები.

საბერძნეთის ფლოტმა უკვე შეი-
ძინა პრუპოვის ზარბაზნები.

შველა ვაზეთები უარზედ დგანან
მედიატორობით საქმის გარჩევისა და
გარდაწყვეტილად მიანჩით ბერლინის
კონფერენციის დადგინება.

ძონსტანტინოპოლის დიპლომა-
ტებთა კრებაში არის მოლაპარაკება,
რომ საბერძნეთს პიროსა და მესა-
ლიის მაგივრათ მისცენ კუნძული
პრიტი.

პარიჟის მუნიციპალურმა კრებამ
(ქალაქის გამგეობამ) გარდასწყვიტა,
რომ 1881 წელს პარიჟის სახალხო
განათლებისათვის 16,897,700 ფრანკი
გარდიდვას (თითქმის 6 მილიონი მან.)
1869 წელში (უკანასკნელი წელი
იმპერიისა) ამავე საქმისათვის იყო გა-
დადებული 6,350,000 ფრანკი (ორი
მილ. მან.).

ათინაში მიმდგარა ინგლისელი
გემი კრუპოვის ზარბაზნებით დატ-
ვირთული. მს იარაღები დანიშნულია
საბერძნეთის ჯარისათვის.

დერეშ-ფაშა დაუნიშნავთ პიროსა
და მესალიის სამხედრო ლენერალ-
ღუბერნატორათ.

საბერძნეთის მეფემ გამოუცხადა
თავის მინისტრებს განზრახვა, რომ,
თუ ვინცობაა ომი ასტყდა, ჯარის
უფროსობას თვითონ იკისრებს და
სამეფოს მართველობას თავის მეუღ-
ლეს და რეგენტების რჩევას გარდას-
ცემს დროებით.

მსმალეთსა და აესტრო-ბერმანის
შუა კავშირზედ იწერებიან პარიჟიდან,
რომ მოგონილი ამბავიაო. ასიმ-ფაშას
ჰქონდა ლაპარაკი საფრანგეთის, იტა-
ლიის და რუსეთის ელჩებთან, რომ-
ლებსაც არწმუნებდაო, რომ მსმალ-
ეთსა და აესტრო-ბერმანის შუა
არავითარი კავშირი არ არსებობსო.

ბერლინიდან იწერებიან, რომ მე-
დიატორეთა რჩევა, რომლის შემდეგ-



ნის აზრი ეკუთვნის საფრანგეთს, არის ერთად-ერთი საშუალება, რომელსაც შეეძლება მსამაღეთსა და საბერძნეთს შუა ომის შეკავება.

განცხადებანი

„ვეფხისტყაოსნის“

შესასწორებლათ შემდგარი რედაქცია სთხოვს უფზდის უფროსებს, ეპარხიების მართველთა უფზდების და გუბერნიის მარშლებსა და ყოველთა ქართული მწიგნობრობის მოყვარეთა იმოვონ და დროებით გამოგვიგზავნონ ქვემო - მოყვანილი აღრესით ხელ-ნაწერა „ვეფხისტყაოსნის“.

შემდეგ პრემის შეთანხმებისა წიგნი დაუბრუნდება პატრონს უმეტეს-აკლოთ.

ადრესი: **თიფლისი. Канцелярия общества грамотности. Саперная улица, № 41.**

1881 წლის იანვრის 6, სამუშაოს, „შეუძლებელ მოსწავლეთა დამხმარებელი თფილისის გუბერნიის თავდაზნაურთა საზოგადოება“

თფილისის კრუჟოკში მართავს

ბ ა ლ ს

ფასი ბილეთისა 2 მან.

ბაღი დაიწყო საღამოს 9 საათზე. მალე ვალდებულნი არ არიან იყვნენ გულ-ღია ტანისამოსში.

ლონდონის მაღაზნი კომერციული ბანკის ქვემოთ: საზამთრო ქულები 2 მ. კარები 4 მ. და 50 კ. ბავშვების წინდები, სტაქნები, საჩაეები და სხვ. ძალიან იაფათ ისყიდება. 10—3

მთელი ტანისამოსი ანუ პალტო—15 მანეთად. რევოლვერები—4 მანეთიდან, ხველის კანფეთები გირვანქა 60 კაპ. შინაქინის ღვინო და ხილის მარილი ციებისთვის—1 მან. და 50 კაპ. ხერესი და პორტ-ვეინი—1 მან. 20 კაპ. **ინგლისის მაღაზნი**. 10—3

მიღებულია ჩაი, პირველი მოსავლისა, რევოლვერები, საჩაეები, კამფეთები, მურაბები და სხვ. და სხვ. 25 პროცენტით ნაკლებ იყიდება მინამ საღმე სხვაგან — **ინგლისურ მაღაზნი** არწრუნის ვალერიაში. 12—4

ლონდონის მაღაზნი

მრევის მოედანზე № 2, კომერციული ბანკის ქვეშ, დაარსებულია წმინდა პიანტის და ჩინეთის პირველი მოწვევის ჩაის გასაყიდველად და ასაუკეთესო ინგლისის საქონლებისა, მა-

გალითად: თოფების, რევოლვერებისა, ბოქლომთა, ტაბაკების (ფოდნოსი) კრავატების, დანა-ჩანგლების, საჩაიე, კიქების, შოკოლადის, კაკოს, გემრიელი სუკრის ერობა, სასურნებელის, საპონის, ცხვირ-სახოცების, შოთკი წინდების, ჩულქების, კარანდაშების, რკინის კალმების და სხვ... (100—7)

ტფილისში

შავერდოვის გაზეთის სააგენტო

(ზოლოვინის პროსპექტი, ალექსანდროვის ბაღთან, შავერდოვის პავილიონში.)

დაიწყო ხელის-მოწერის დრო 1881 წლისათვის

შველა დრო-გამოშვებითი გამოცემაზე რედაქციისგან გამოცხადებულ ფასებით: ადგილობრივზე, რუსულზე და სამხედვარ-გარეთისაზე.

ბ.ბ. ქალაქ გარეშე მცხოვრებელთ ამ აღრესით უნდა ინებონ მომართვა: **Въ Тифлиси, въ газетное агентство В. Шавердова.** 25—23

წარამთავაშე უკეთესი არა არის-რა, ამაზედ შეიძლება დარწმუნდეს ყველა ინგლისის მაღაზიაში, არწრუნის ვალერიაში, სადაც მიღებულია დიდძალი ჩაი 1 მოკრებისა, შოკოლადი, კაკოა ჭრისა და სხვა საქონელი: ქინის ღვინო და ხილის მარილი ციებისათვის; ხველების კანფეთები და სხვ. აგრეთვე დანა-ჩანგალი, ახალის სისტემის თოფები და სხვ. 15—10

შავთხვევით

რადგან ინგლისის მაღაზია სასმელეულოთ ვაჭრობას თავს ანებებს, ამის გამო ახლა ისყიდება: პირველის სორტის 3 წლის ხერესი და პორტვეინი ბოთლი 1 მან. და 50 კაპ., ძალიან კარგი 1 მან. და 20 კაპ., საუკეთესო კონიაკი—2 მან. იქვე ისყიდება 5,000 ფანდოსი და გასაღებები 8 კაპ., ინგლისის რევოლვერი 4 მანეთიდან 35 მანეთამდე, საუკეთესო ტარიელკები 2 მან. ღვინო, პალტო და მთელი ტანისამოსი 15 მან. და სხვ. 10—20

კატენტიანი უკრატები

თიქებისათვის 1 მ. 50-დამ და ცხვებებისათვის 1 მ. 75-დამ; ვვაგილები სახურავებით 2 მანეთიდან; საბჭკვე 30 კაპ.; რუქები 5 კ.-დამ; ფილტრები (წყლის დასაწმენდი) 3 მ-დამ და გვადრება 1 მან-დამ; თუფები 2 მ-დამ ინდიუქ; შოკოლადის კანფეთები 20 კ-დამ თითო ყუთი და სხვ. **ინგლისურს მაღაზიაში.** (100—69)

თფილისის ტყავის ქარხანა

შუა-ბაზარში, მეტყვეების ღივზე, მართველოვის სახლებში გახსნილი საწყოები (სკლადი) ყოველ-გვარ ტყავის საქონლისა და მაქეს ვაჭრობისა და მომხმარებელთათვის სხვა-და-სხვა სორტის ტყავეები: **წალავის ლანგების** (პალოშის ტყავეები), **ცხენის, იუხტის და აპოიის სამონელი;** აგრეთვე **ვიტიანკები, წალავის ქალები (გალოვკი), სიროპიატის ტყავეები, უნაზირისა და მაზინების რამეები.**

შველა ეს საქონელი ისყიდება იმ ფასად, რა ფასათაც ზავოდებში ისყიდება ხოლმე. 10—7

Съ 1-го января 1881 г. въ С.-Петербургѣ будетъ издаваться

БЕЗЪ ПРЕДВАРИТЕЛЬНОЙ ЦЕНЗУРЫ

ХУДОЖЕСТВЕННЫЙ ЖУРНАЛЪ

въ которомъ примутъ участіе слѣдующіе художники: М. Боткинъ, П. Броуловъ, В. Верещагинъ, В. Васнецовъ, А. Куинджи, И. Крамской, баронъ М. П. Клодтъ, Л. Лагорио, К. Лемохъ, А. Ленскій (артистъ московскихъ императорскихъ театровъ), В. Маковскій, В. Масаловъ, А. Мещерскій, В. Перовъ, В. Полъновъ, И. Рѣпинъ, К. Савицкій, Суриковъ, И. Шишкинъ, Шишковъ и А. Шарлемань.

Приступаая къ изданію совершенно новому по характеру, считаемъ долгомъ нѣсколько объяснить съ читателемъ. Если кто думаетъ, что художественный журналъ—что то научное, сухое, специальное, тотъ ошибется, подводя наше изданіе подъ эту категорію. Ничего особенно научнаго, ничего сухого, специальнаго, ни даже систематическаго курса исторіи искусства редакція предлагать своимъ читателямъ не намѣрена. Для науки, для исторіи искусства существуютъ академія, существуютъ университетскія кафедры, наконецъ отдѣльныя спеціальныя сочиненія, цѣлыя бібліотеки; наша же задача—это искусство въ той живой органической связи съ интересами общества, которыя составляютъ настоящую потребность каждаго мыслящаго и развитаго челоука

При такой задачѣ программа журнала заключается въ слѣдующемъ; 1) Беллетристическій отдѣлъ: повѣсти, рассказы, сцены и т. п. по преимуществу изъ жизни русскихъ художниковъ. Біографія художниковъ (въ повѣствовательной формѣ), а также и замѣчательныхъ дѣятелей въ искусствѣ 2) Критическій отдѣлъ: критическія статьи по искусству. Художественный фельетонъ. Рецензіи и критическія замѣтки, касающіяся, какъ художественныхъ произведеній, такъ равно и книгъ по искусству. 3) Сибѣ. Теоретическія и практическія указанія и совѣты какъ художникамъ, такъ и любителямъ. Обзоры дѣятельности русскихъ художественныхъ обществъ и школъ, существующихъ въ Россіи. Разныя мелкія замѣтки, извѣстія и слухи. 4) П о с л ѣ д н я я страница. Справочный отдѣлъ, въ который войдутъ по преимуществу отвѣты на запросы публики и художниковъ. 5) Приложеніе: «художественный альбомъ».

«Художественный альбомъ» будетъ состоять изъ двухъ отдѣловъ. 1) рисунковъ и портретовъ въ форматѣ самаго журнала и 2) картинъ въ форматѣ большаго альбома.

Практикующаяся во всѣхъ періодическихъ изданіяхъ гравюра на деревѣ оказывается для исполненія художественныхъ произведеній въ большинствѣ случаевъ вполне несостоятельной; вслѣдствіе чего всѣ рисунки и портреты въ «Художественномъ Журналѣ» будутъ исполнены посредствомъ фотолитографии, фототравуры и гравюры на мѣди (офортъ).

Журналъ будетъ выходить ежемѣсячно въ форматѣ большой книги отъ трехъ до четырехъ листовъ.

Годовые подписчики получаютъ журналъ съ приложеніемъ, которое будетъ состоять изъ 20 или 24 оригинальныхъ рисунковъ и портретовъ, прилагаемыхъ ежемѣсячно при журналѣ и отдѣльнаго большаго альбома, который данъ будетъ въ видѣ преміи въ концѣ года. Полугодовые подписчики получаютъ журналъ съ рисунками и портретами, но безъ преміи.

Цѣна журнала съ приложеніемъ, съ пересылкой и доставкой на годъ 6 руб. и на полгода—4 руб.; безъ приложенія на годъ 3 руб. и на полгода 2 руб.

Въ 1-мъ номерѣ въ беллетристическомъ отдѣлѣ будутъ помѣщены „Воспоминанія и характеристики: 1) В. В. Верещагинъ во время войны“—В. И. Немировича-Данченка; въ критическомъ отдѣлѣ. „Талантъ А. И. Куинджи и значеніе этаго таланта для русскаго искусства.“ Обзоры выставокъ и смѣсь. Въ приложеніе къ первому войдутъ: портретъ съ факсимиле А. И. Куинджи и новая картина В. Маковскаго „à quatre mains“

Подписка принимается: въ Петербургѣ—въ конторѣ редакціи, на углу Невскаго и троицкаго (подъѣздъ съ Троицкаго), д. Ростовцева, кв. № 24; въ книжныя магазины «Нов. Времени» и Мамонтова, на Невскомъ, и въ эстампныхъ: Фельтена и Бегрова, на Невскомъ; въ Москвѣ, въ книжныхъ магазинахъ: «Новаго Времени», на Никольской; Мамонтова, на Кузнецкомъ мосту и въ эстампныхъ: Доцаро, на Кузнецкомъ и Осберга на Петровкѣ.

Гг. иногородные благоволятъ адресоваться исключительно въ контору редакціи. Петербургъ, уголъ Невскаго и Троицкаго, домъ Ростовцева.

Редакторъ-издатель Н АЛЕКСАНДРОВЪ. (3—1)